აქტი თოვლის პირსა ქვით

287 1 277

287 1 277

დასკანირებულია
17.01.05
18

13.

...ის მუშათა ...მოქმედების ...ლებანი

...ჩეთის კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის ...ნორმალიზაციისათვის. როგორც აღნი...შნულია გადაწყვეტილებაში, კომუნის...ტური და მუშათა პარტიების მოსკოვის ...თათბირის შემდეგ ისინი სულ უფრო ...მეტ ყურადღებას უთმობენ ერთობის ...განმტკიცებას, საერთო ანტიიმპერიალა...ტური ბრძოლის განვითარებას. უნგრე...თის სოციალისტური მუშათა პარტია ...აც ყოველ ღონეს ხმარობს თათ...ბის გადაწყვეტილებათა განხორციე...ლებისათვის.

...ხლენუმმა აღნიშნა, რომ უნგრეთის ...ეკონომიკა გეგმაზომიერად ვითარდება უნგრეთის სოციალისტური მუშათა პა...რტიის IX ყრილობის მიერ გან...საზღვრული მიმართულებით. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენ...ტრალურმა კომიტეტმა დასახა გაადი...ლოს 1970 წელს სამრეწველო წარმო...ება 6 პროცენტით, ეროვნული შემო...სავალი —5.6 პროცენტით.

გადაჭრით გმობენ

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობა მტკიცედ აცხადებს პროტესტს ვიეტნამში ამერიკელ აგრესორთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.

ეზენბიუტენშტადტის მეტალურგიული ქარხნის ჯ ათასი მუშის სახელით ამ უდიდესი საწარმოს პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ განაცხადა: „მოვითხოვთ მკვლელობისა და მათი დამჭაშების დასჯას. შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას ვიეტნამელი თანამოძმეების მიმართ იმით, რომ გავაძლიერებთ სოლიდარობის მოძრაობას“.

„ლოინის“ ქიმიური კომბინატის პროფკავშირულმა ორგანიზაციამ ვიეტნამთან სოლიდარობის ფონდს გადასცა 10 ათასი მარკა.

ამერიკელ აგრესორთა ტერორის წინააღმდეგ ილაშქრებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერები.

ნიუ-იორკი. ბევრი ამერიკელის აღშფოთება გამოიწვია ფაქტებმა სამხრეთ ვიეტნამში ამერიკელი ჯარისკაცების მხეცობის შესახებ, რომლებიც პრესაში კანტ-ყუნტად გამოჩნდა. ბურუსუაზიული პრესაც კი ამ დღეებში გულისწყრომით აღსავსე სტატიებს აქვეყნებს.

„უმწეო მოხუცების, ქალებისა და ბავშვების ხოცვა-ჟლეტა დაუსჯელი არ უნდა დარჩეს“, — წერს, მაგალითად, სარედაქციო სტატიაში გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნი“. „ხოცვა-ჟლეტა სონგმში, — ხაზს უსვამს გაზეთი „ნიუიორკ ტაიმსი“, — იყო წინასწარ მოფიქრებული, დაგეგმილი: მონაწილეებს უნდა დაესაჯათ ხალხი“. ასეთივე ტონით გამოდიან პრესის სხვა ორგანოებიც.

„სონგმის ამბებისათვის პასუხისმგებლობა, — განაცხადა ვაშინგტონის ორგანიზაციის „ქალები იბრძოლეთ მშვიდობისათვის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ე. ვილსტრიგომ, — ეკისრება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომელიც განაგრძობს ომს ვიეტნამში“. „ჩვენი „ინციდენტების“ აღმოფხვრა შეიძლება მხოლოდ ერთი საშუალებით — ამერიკელებმა ჯარები უნდა გაიყვანონ ვიეტნამიდან“. — განუცხადა გაზეთ „დეილი უორლდის“ კორესპონდენტს „მშვიდობის და თავისუფლებისათვის მებრძოლ ქალთა ლიგის“ ერთ-ერთმა აქტივისტმა ჯ. სმიუელსმა.

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დემოკრატიული საზოგადოებრიობა გადაჭრით გმობს ამერიკელ აგრესორთა მხეცობას სამხრეთ ვიეტნამში. გერმანიის სოციალისტური შუშა ახალგაზრდობის ორგანიზაციის გამგეობამ განაცხადა, რომ სონგმში ჩადენილი დანაშაული „საშინლად მგავს ორადურსა და ლიდიცეში მომხდარ დანაშაულს“.

ამ ორგანიზაციამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას მოუწოდა აშკარად დაგმოს სონგმის დანაშაული და მოსთხოვოს ამერიკას მთლიანად გაიყვანოს ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან.

მშვიდობისათვის მებრძოლ გერმანელთა კავშირის ქვემო საქსონიის ორგანიზაციამ, კანცლერ ბრანდტს გაუგზავნა მოთხოვნა, რათა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ „შეწყვიტოს ყოველგვარი მხარდაჭერა ომიანი“, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები უწევს ვიეტნამში.

(საკდესი).

უ. მარშეს გამოსვლა

პარიზი, 1 დეკემბერი. (საკდესი). 10 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა კომპარტიის გაზეთ „მარსეელ-ზის“ დღესასწაულში. ეს გაზეთი გამოდის მარსელში.

დღესასწაულის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჟ. მარშე. კომუნისტები, თქვა მან, იცავდნენ და კვლავაც დაიცავენ მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის უფლებებსა და მოთხოვნილებებს, რომლებიც მონოპოლიათა ჩაგვრას განიცდიან. ჟ. მარშემ აღნიშნა, რომ მასების საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება სათვის ბრძოლას შეუძლია მოჰყვეს მნიშვნელოვანი შედეგები, რასაც მოწმობენ 1968 წლის მაის-ივნისის მძლავრი გაფიცვები. „მაგრამ მშრომელები ვერ დასჯერდებიან მარტო მონოპოლიებისა და მათი ძალაუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლით. გადამწყვეტი ეკონომიური და სოციალური მონაპოვრების მისაღწევად და შესანარჩუნებლად, საჭიროა ბრძოლა იმ სიძნელეთა ძირეული მიზეზების წინააღმდეგ, რომლებსაც ხალხის ფართო მასები განიცდიან“.

სრულიად საკავშირო აღკვ დელეგაცია კუბაში

ჰავანა, 1 დეკემბერი. (საკდესი). კუბის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის მოწვეით ჭუბაში ჩამოვიდა სრულიად საკავშირო ლენინური კომკავშირის დელეგაცია სრულიად საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. მ. ტიაჟელნიკოვის მეთაურობით. მის შემადგენლობაშია — სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ორჯერ საბჭოთა კავშირის გმირი ა. ს. ელისეევი.

მსოფლიოს ქვეყნებში

კინემატოგრაფისტთა თათბირი

სოფია, 1 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ბულგარეთის დელეგათა საბჭოში იუწყება, გუშინ ვარნაში დამთავრდა ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კინემატოგრაფისტთა საერთაშორისო თათბირი. თათბირზე განიხილეს ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნის პროგრამა.

კინემატოგრაფისტებმა განიხილეს ავრეთვე ფილმების წარმოებისა და გავრცელების მთელი რიგი ტექნიკური პრობლემები, დასახეს კინოს დარგში მომავალი ქვეყნების შეცნიერულ-ტექნიკუ-

...ლიერდებიან

...რიკელ „ცოფიანთა“ სახელით ქება შეასხა ძირმომჭალ საიგონის რეჟიმს და მოითხოვდა ომის ესკალაციას. ამის შემდეგ პრესაში დაიბეჭდა ცნობები, რომ ოლდსის მომხრეებმა, ...რომლებიც 1968 წლის აგვისტოში მალური შეკრების თათვის. შემთხვევითი რიგია, რომ გაზეთი „ვაშინგტონ დეილი ნიუსი“ აღნიშნავს, „ამერიკის პარტია იურიდიულად აღიარებული პოლიტიკური ძალა გახდაო“.

როგორც ცნობი...

„საჭირო ოქრო", 1969, №235

3/XII

მნიშვნელოვანი შენაძენი ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორიაში

ქარგი ხანია გაკეთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა: მიმდინარე წელს გამოსცა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ აკაკი თოფურიას ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორია", ნაწილი პირველი.

ა. თოფურია უკვე დიდი ხანია ცნობილია თავისი ღრმად მეცნიერული გამოკვლევებით კლასიკური და ქართული საბჭოთა ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლების (ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ილ. ჭავჭავაძე, ლ. ქიაჩელი და სხვ.) ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, ხოლო მისი „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა", რომელიც სულ რამდენიმე წლის განმავლობაში სამჯერ გამოიცა, მნიშვნელოვანი წვლილია ქართული მეთოდიკური აზროვნების განვითარებაში.

აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე სარეცენზიო წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ „ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორია შორეული წარსულიდან იწყება, მაგრამ მისი საფუძვლიანი შესწავლა მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულს მიეკუთვნება... ვახტანგ მართებულად მიგვანიშნა, რომ უძველეს სკოლებში, რომლებიც ეკლესია-მონასტრებთან და სამღვდელმთავრო კათედრებთან არსებობდნენ, ჩაისახა მეთოდიკა, როგორც სწავლების წესთა სისტემა. თუ ამის დამადასტურებელი წმინდა მეთოდიკური ძეგლი არ მოგვეპოვება, ეს, როგორც ავტორი მიუთითებს, „იმას როდი ნიშნავს, რომ თავის დროზე მისი არსებობის შესაძლებლობაც გამორიცხოს". რა თქმა უნდა, ამგვარი მხედველობა ჰიპოთეზურ ხასიათს ატარებს, მაგრამ იგი მეტად საფუძვლიანია.

აკაკი თოფურია ემყარება ჩერნიშევსკის თეზისს „ხანის ისტორიის გარეშე არ არსებობს ხანის თეორია". ხანის სწავლების წარმოშობა ბუნებრივად გულისხმობს მეთოდიკური აზრის გაჩენასაც, ისევე, როგორც ხელოვნების გენეზისმა ხელოვნების თავდაპირველი თეორიაც განაპირობა" (გვ. 8).

ნაშრომის პირველ თავში „ცნობები ქართული მეთოდიკური აზრის ჩასახვისა და განვითარების შესახებ მე-4 საუკუნიდან მე-19 საუკუნის დამლევამდე" ა. თოფურია ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით აქცენტებს სწორ დასკვნებს და აღნიშნავს, რომ თვით მეთოდიკური ცნებები („სწავლება", „სწავლა") უძველესი წარმოშობისაა. უძველეს ბაუკუნეებში შეიქმნა პოეტიკისა და რიტორიკის ხელნაწერი სახელმძღვანელოები, ქართული ლიტერატურის ჯრუნტოშაოები, სადაც ძახალები განლაგებული იყო კლასიფიცირებულად და ლექსიკური კომენტარებით. სულხან-საბა ორბელიანმა დაწერა სასწავლო-პედაგოგიური ხასიათის ნაშრომი „სამოთხის კარი", რომელშიც კლასიფიცირებულია გამოუენებული კითხვა-მიგების ხერხი: დიდი მეგობე მოითხოვს აზრის გათვალსაჩინოებას, დაკოსრეტებას და დასაბუთებას საუეთესო ნიმუშების გამოყენთით. თელავის სასულიერო სემინარიაში დაწით რექტორის მოღვაწეობის პერიოდში დაგროვდა მნიშვნელოვანი მეთოდიკური გამოცდილება, ხოლო 1711 წელს ტბამბრად გამოქვეყნდა ქართული ორიგინალური სახელმძღვანელო, რომელშიც წამოყენებული და დახასიათებულია სასწავლო მასალების ენის გამარტივების, სწავლებაში შეგნებულობის, ადვილიდან ძნელზე გადასვლის დიდაქტიკურ-მეთოდიკური წესი.

მეორე თავში ავტორი არკვევს ქართული მეთოდიკური აზროვნების განვითარების ძირითად პერიოდებს მე-19 საუკუნის დამდეგიდან 1921 წლამდე. მასში გამოკვეთილია ს. დოდაშვილის „რიტორიკის" ადგილი მეთოდიკურ სისტემაში და დახასიათებულია ქართული ლიტერატურის სწავლების მაშინდელი მდგომარეობა გასული საუკუნის 60-70-იან წლებამდე, აგრეთვე რუსული მეთოდიკური სკოლის გავლენა და დ. ჩუბინაშვილის კრესტომათია. ა. თოფურია საკმაო ყურადღებას უთმობს „გახმარტებითი" ანუ „ახსნითი კითხვის" პრობლემას, გამოჩენილ ქართველ მეთოდისტთა ნაზრევის გარჩევას, იმ ვითარების აღწერას, რაც შეიქმნა ჩვენში ცარიზმის სავაძანათლებლო პოლიტიკის გატარების შედეგად. მაშინ იყო, რომ მოხდა ქართული ენის იზოლირება. სკოლებიდან მისი თანდათანობით განდევნის პროცესი, ხოლო ქართული ლიტერატურა, როგორც დამოუკიდებელი საგანი, ფაქტიურად ამოიღეს სასწავლო გეგმებიდან, ის გადაიქცა პოეტიკისა და რიტორიკის დანამატ საგნად. ს. დოდაშვილმა და შემდეგ დ. ჩუბინაშვილმა გაიჩაღეს ბრძოლა ქართული ლიტერატურის სწავლების უფლების მოპოვებისათვის (გვ. 81).

წიგნის მომდევნო თავებში ავტორი არკვევს ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლისა და ი. გოგებაშვილის როლს ქართული მეთოდიკური აზროვნების ახალი გზით განვითარების საქმეში მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან 900-იან წლებამდე არსებულ პერიოდში, ვრცლად არჩევს კირილე ლორთქიფანიძის „ჩონგურის", მის თემატურ ხიახლეს, მ. ნასიძის შეხედულებებს, არ. ქუთათელაძის „წყაროს", გ. ოსელიანის აზრებს „ვეფხისტყაოსნის" სწავლების საკითხებზე და ლ. ბოცვაძის მოსაზრებებს ლირიკული ნაწარმოების სწავლების გზებისა და მიზნების შესახებ.

ეს პერიოდი ქართულ მეთოდიკურ აზროვნებაში აღინიშნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით, როცა პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მოღვაწეები მოითხოვდნენ მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოების იდეურ ანალიზს, მის განხილვას ხალხის ცხოვრებასთან კავშირში, ლიტერატურის თეორიისა და თვით მხატვრული ლიტერატურის სწავლების დაკავშირებას ერთმანეთთან.

ავტორს დიდი შრომატევადი მუშაობა ჩაუტარებია და ჩანს კიდეც შედეგი: უამრი გატეხილია და ჭერი ახლა სხვა მკვლევარებზეა, რადგანაც, როგორც თვით ა. თოფურია აღნიშნავს, მის ნაშრომს არა აქვს სრულყოფილობის პრეტენზია, მაგლობით მიიღებს მკითხველთა სამართლიან შენიშვნებს და გაითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში (გვ. 245-246).

ამ მომართულებით პროფ. ა. თოფურიას მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ ავტორი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ სწავლა-განვითარებისა და კულტურის მდიდარი ტრადიციების მქონე ქართველმა მშრომელმა ხალხმა, საზოგადოებრივი აზროვნების მრავალსმომცველ სხვა დარგებთან ერთად, უძველესი დროიდანვე შეიმუშავა გარკვეული, მისთვის დამახასიათებული მეთოდიკური აზრები და შეხედულებანი, რომელთა მთლიან სისტემად ჩამოყალიბება შესაძლებელი გახდა უმთავრესად მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე თერგდალეულები გამოსულებიან ერთად ყალიბებოდა ქართული პედაგოგიკა, რომლის ფუძემდებელი იყო იაკობ გოგებაშვილი.

აკ. თოფურიას წიგნი განკუთვნილია სტუდენტების, პედაგოგებისა და ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

სწორედ მოკლეულია მონოგრაფიის ავტორი, რომ გვერდი არ აუარა რევოლუციამდელ რუსეთში არსებულ ძირითად მეთოდიკურ მიმდინარეობათა დახასიათებას, თ. ბუსლაევის, ვ. ხტოუნინის, ვ. ვოდოვოზოვის, ც. ბალტალონის, ვ. ოხტრიგორკის, ლ. პოლივანოვის და სხვათა შეხედულებებს, რადგანაც მათ მოსაზრებებს მეტად დადებითი როლი შეუსრულებია ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში, ზოგჯერ წარმმართველი, ხელმძღვანელი გავლენაც მოუხდენია ჩვენი მშობლიური მწერლობის სწავლების მეთოდიკური აზროვნების წინსვლაზე. აკ. თოფურია უკვლა წყაროს მიუთითებს და თავთავის ადგილას იყენებს.

წიგნის ბოლოს (გვ. 247-289) რუსულ ენაზე დართული რეზიუმე ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორიით დაინტერესებულ მეცნიერებს, პედაგოგებს და სათანადო კვლევით ინსტიტუტებს საშუალებას აძლევს გაეცნონ იმ ვრცელსა და რთულ გზას, რაც განვლო მშობლიური ლიტერატურის სწავლების მეთოდიკამ შორეული წარსულიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (1921 წლამდე).

სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში გამოცემულ ბევრ გამოკვლევას აკლია ასეთი რეზიუმე. მისი საჭიროება და აუცილებლობა კი უკვე დიდი ხანია მოტივირებულია. ეს 22-ფურცლიანი რეზიუმე ქართული ენის არამცოდნე მკითხველს გააცნობს უძველესი და უმდიდრესი ისტორიის მქონე ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორიას.

ეს რეზიუმე ხელს შეუწყობს, რომ შეიქმნას მხატვრული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკური აზროვნების საერთო-საკავშირო ისტორია, რომელიც ჯერჯერობით კიდევ არ გაგვაჩნია და რომლის შექმნის აუცილებლობას დღესდღეობით უკეთ გრძნობს. ეს საკითხი თავისი სიდადით დგება მეცნიერ-მკვლევართა და პრაქტიკოს პედაგოგთა მუშაობის დღის წესრიგში.

დღეისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული ქართული ლიტერატურის მეცნიერულ მეთოდიკაში. ამ დიდი შრომის შესწავლას უდიდესი შემეცნებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, პირველ რიგში პედაგოგთა წინაშე მდგარი გაზრდილი ამოცანების წარმატებით დაძლევისათვის.

პავლე ხმალაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი.